

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

**პიროვნების ჰარმონიული აღზრდა იაკობ გოგებაშვილის
მოდერნების მიხედვით**

თეა გვილავა

სსიპ ქალაქ ფოთის მე - 15 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი

ანოტაცია

დღეს, როდესაც ქართველი ხალხი იბრძვის განათლების, სასწავლო-აღზრდელობითი პროცესის შინაარსის ეროვნულ ტრადიციებზე დასამკვიდრებლად, ეროვნული ცნობიერების ასაღორძინებლად და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს გამოჩენილი პედაგოგის, განმანათლებლის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების შესწავლას. გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში სრულიად გამოკვეთილი ადგილი უჭირავს აღზრდისა და განათლების მიზნის განსაზღვრის საკითხს, ვინაიდან ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყობადობის შენარჩუნება და ქართული სახელმწიფოს განვითარება, გოგებაშვილის აზრით, სწორედ მომავალი თაობის სწორი მიმართულებით აღზრდის საშუალებითაა შესაძლებელი. სამშობლოს ასაღორძინებლად, ერის გამოსაკეთებლად და ბედნიერი მომავლის შესაქმნელად, მას აუცილებლად მიაჩნია სასწავლო-აღზრდისა და განათლების მხოლოდ ისეთი სისტემის შექმნა, რომელსაც შეუძლია ჩვენს ქვეყანას გამოუზარდოს „ახალი ტიპის ქართველები“. მისი აზრით, საჭიროა „ახალი ადამიანი“, რომელიც აღჭურვილი იქნება მრავალმხრივი და მტკიცე ცოდნით, ზნეობით, საღი და ჯანმრთელი სხეულით, ჰუმანური გრძნობებით. იგი ადამიანური უნარით სავსე, გამორჩეული თანამემამულე უნდა იყოს. ყოველივე ეს კი ჰარმონიული აღზრდის იდეაა - “სულის ჰარმონიულად განვითარება აღზრდა-განათლების იდეალია.”

ვიზიარებთ რა დიდი მოძღვრის, იაკობის აზრს, მიგვაჩნია, რომ ეს იდეა დღეს ძალზე აქტუალურია და მხოლოდ ასეთი ქარველები გარდაქმნიან ჩვენი ხალხის ცხოვრებას, ააღორძინებენ ერს და ნათელ მომავალს დაუმკვიდრებენ სამშობლოს.

საკვანძო სიტყვები:

აღზრდის მიზანი, ჰარმონიული აღზრდა, ახალი ტიპის ქართველი;

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ქართველ გამოჩენილ ადამიანთა შორის ბრწყინავს იაკობ გოგებაშვილის სახელი. ის იყო მწერალი, პუბლიცისტი, ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, განმანათლებელი, პედაგოგი, აქტიური საზოგადო მოღვაწე.

იაკობისმდიდარი პედაგოგიური მოღვაწეობა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის წიაღში აღმოცენდა.მის მსოფხედველობაში ერთმანეთთან იყო დაკავშირებული ეროვნული და სოციალურიპრობლემები.მისი აზრით, მომავალ თაობა საქართველოს კულტურულ- ეკონომიკური,პოლიტიკური წარმატებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოზარდი თაობის აღზრდის,სწავლებისა და განათლების მიზნისა და ამოცანის განსაზღვრას. იგი საქართველოს სინამდვილეში აღზრდის ძირითად მიზნად ისახავდა მოზარდის ჰარმონიულ განვითარებას.

„შეუძლებელია ისე ავლზარდოთ მოზარდი,რომ წინასწარ არ განვსაზღვროთ აღზრდის მიზანი, ე.ი აღსაზრდელი გარკვეული „პროექტის“ მიხედვით უნდა ჩამოვყალიბოთ“¹- ამბობს იაკობ გოგებაშვილი, თუმცა აქვე აღნიშნავს იმასაც, რომ „დამოუკიდებელი ადამიანის აღზრდა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს გულისხმობდეს ერთნაირი მსოფხედველობის, აზრისა და მისწრაფების ადამიანის აღზრდას, რომელშიც ინდივიდუალური თავისებურებები არ გამოვლინდება.

„დაპროექტებული ადამიანის“ აღზრდა გულისხმობს იმ უნარ-ჩვევების კომპლექსის ჩამოყალიბებას,რაც ჰარმონიულად უკავშირდება საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და საყოველთაოდ მიღებულ სოციალურ-კულტურულ ღირებულებებს.აღზრდა- განათლების მიზნად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია ადამიანის ყოველმხრივი მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.მისი შეიარაღება იმ ცოდნით,რომელიც მისცემს ბუნების ძალთა გამოყენებისა და ცხოვრებაში გარკვევის უნარს.აღზრდა განათლების ამგვარი მიზანი,იაკობის აზრით უნდა გულისხმობდეს ბავშვის „სულის ჰარმონიულად განვითარებას,რაც შეადგენს იდეალს სწავლისას და აღზრდისას“³.

როგორი ახალგაზრდობა შეიძლება ჩაითვალოს ცხოვრებისათვის მომზადებულად,როგორ ახალგაზრდობას შეუძლია ბუნების ძალთა გამოყენება,ან რას ნიშნავს ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი?

იაკობ გოგებაშვილი აყენებს “ახალი ტიპის ადამიანის“შექმნის პრობლემას.

იაკობის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია 80-90 წლების ძველი ტიპის თავადაზნაურულ- ინტელიგენტური ფუქსავატობა,ზერელობა, ეროვნული ინტერესების ღალატი, მშრომელი ხალხისგან მოწყვეტა, რუსული ბიუროკრატიზმისადმი შეზრდის

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ტენდენცია. ასეთი ინტელიგენციის შესახებ იაკობ გოგებაშვილი წერდა: “ახლანდელი ტიპი განათლებული ქართველისა ძალიან მდარე არის. მათ აკლიათ გონებრივი ძალა ცხოველთა ჭკუა, ნამდვილი ცოდნა, მტკიცე ხასიათი, მხნეობა, თაოსნობა და ა.შ.”⁴⁴

სახელოვან მწერალს სწამს, რომ საქართველოს დაუდგა ჟამი შვას, აღზარდოს “ახალი ტიპის ქართველი. ახალი ტიპის ქართველისათვის იაკობი აუცილებლად თვლის ისეთ ჩვევებს და ცოდნას, რომლებიც გაუადვილებს მას ბუნების ძალთა მოხმარებას და ამასთან ერთად, მზად იქნებოდა ხალხისათვის საბედნიერო და სოციალური ცვლილებებისთვის საბრძოლველად. ამ ამოცანის შესრულებას იგი აკისრებდა ახალი ტიპის სკოლას. იაკობის აზრით, ახალი ტიპის ქართველს უნდა შესწევდეს ძალა „ავადმყოფური რეჟიმისა“ და „უკუღმართული ცხოვრების“ წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისა და ამასთან, ახალი და საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლის თაოსნობისა, ძველი ტიპის ზემოთ აღნიშნული თვისებათა საწინააღმდეგოდ, ახალი ტიპის ქართველს უნდა ჰქონდეს ძლიერი გონება, რეალური ცოდნა, მტკიცე ნებისყოფა და ხასიათი, სახალხო საქმის თაოსნობის უნარი, სამშობლოს და ხალხის მგზნებარე სიყვარული, მაღალი ადამიანური გრძნობები, თავისი თავის იმედი, თავაზიანობა, დარბაისლობა, სინდისი და პატიოსნება.

როგორ ესმის იაკობ გოგებაშვილს აღზრდის პროცესი, რას გულისხმობდა მის შინაარსად? აღზრდას მრავალი მომენტი ახასიათებს, მრავალმხრივია მისი შინაარსი, მაგრამ ყოველი მისი მომენტი იაკობ გოგებაშვილმა ოთხ შემადგენელ ნაწილად წარმოგვიჩინა: გონებრივი აღზრდა, ზნეობრივი აღზრდა, ესთეტიკური აღზრდა და ფიზიკური აღზრდა.

იაკობ გოგებაშვილს გონებრივი განათლების სინონიმად “ნამდვილი ცოდნა” მიიჩნია, “ცოცხალი ცოდნა”, რომელიც ასწავლის ადამიანს ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას და „სოციალური პროგრესისათვის ბრძოლას. ყველგან, სადაც საუბარია განათლებაზე, გოგებაშვილს მხედველობაში აქვს „გონებრივი განათლება“, ან „გონებრივი სიმდიდრე“. არაერთხელ აღუნიშნავს გოგებაშვილს სწავლა-განათლებისა და ცოდნის დიდი მნიშვნელობა, რომ თანამედროვე ეპოქაში ადამიანის წარმატებას, როგორც მეურნეობაში, ისე სოციალურ ცხოვრებაში წყვეტს არა ფიზიკური ძალა ან ქონებრივი სიმდიდრე, არამედ გონების ძალა, გონების სიმდიდრე, ცოდნა ისეთი აუცილებლობაა არსებობისთვის როგორც ჰაერი.

„დიახ, დიდია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ცოდნისა, განათლებისა, იგი იმდენადვე საჭიროა არის არსებობის და წარმატებისთვის, რამდენადც ჰაერის სუნთქვისა სიცოცხლისთვის.“ – ამბობს იაკობ გოგებაშვილი. ის ჩვენი ახალგაზრდობის გონებრივი განათლებისთვის, ილიას მსგავსად, სრულიად მართებულად მოითხოვდა მის

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

შეიარაღებას ევროპული მეცნიერული ცოდნით. იგი მოითხოვდა მეცნიერების ახალ მიღწევათა სწავლებას, ახალგაზრდობის ცნობიერების გამდიდრებას ცოცხალი ცოდნითა და პრაქტიკული მოღვაწეობის უნარით.

რეალური განათლების სისტემა, იაკობის აზრით, არის ერთადერთი, რომელიც ჭეშმარიტ ცოდნას აძლევს მოსწავლეს და ამდიდრებს მის გონებას სასარგებლო ცოდნით, როგორც ბუნებისმეტყველებიდან, ისე საზოგადოების ცხოვრებიდან.

იაკობ გოგებაშვილს სასარგებლო შეხედულება აქვს გამოთქმული ზოგადი და სპეციალური განათლების ურთიერთობის საკითხებზე. იგი იზიარებდა პედაგოგების (კომენსკი, უმინსკი) და სხვათა შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ სპეციალურ განათლებას წინ უნდა უძღოდეს ზოგადი განათლება. აღნიშნავს, რომ ნებისმიერი სპეციალობის დაუფლება შეუძლებელია, ზოგად განათლებაზე დაფუძნების გარეშე, რადგან ზოგადი განათლება ადამიანის ყოველმხრივი ნიჭისა და უნარის, გამოვლინებისა და განათლების მართალი გზაა.

იაკობ გოგებაშვილი ყოველმხრივ განათლებულ ადამიანად თვლიდა მაღალზნეობრივი თავისებურებებით აღჭურვილ პიროვნებას. იაკობის ყველა სახემმდევანელო თუ საკითხავი წიგნი, მის მიერ დაწერილი ყველა მოთხრობა, თუ სტატია, გონებრივი აღზრდის ერთ პროცესად შეერთების მიზანს ემსახურებოდა. მას კარგად ესმოდა ზნეობრივი აღზრდის საერთო სისტემაში მოქცევის აუცილებლობა. მისი აზრით, პატიოსანი, კეთილშობილი გრძნობებით მოზარდი თაობის აღზრდა კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების დამძიმება სხვადასხვა ცოდნით. სკოლისა და მასწავლებლის ძირითად მოვალეობად იაკობი თვლიდა მოზარდ თაობაში აღეზარდა გამჭირავი ჭკუა, ღრმა გრძნობა, მტკიცე ხასიათი, ერთი სიტყვით კაცურ-კაცობა. ცნება “კაცურ-კაცობა” იაკობს, სხვა სამოციანელების მსგავსად, ფართო გაგებით ესმოდა. აქ იგი გულისხმობდა ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანებისათვის საჭირო ყველა თვისებას. აქ იგულისხმებოდა საზოგადოების, ხალხის, ისტორიის წინაშე მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიტყვის და საქმის ერთიანობა, ალაღმართალობა, ერთგულება და თავდადება ხალხისათვის. მან კარგად იცოდა, რომ სწავლა-განათლებას შეეძლო ადამიანის მაღალი ზნის კარგად გადაქცევა. მაგრამ ამავე დროს ისიც იცოდა, სწავლება და განათლება ავტომატურად ვერ გადაწყვეტს ზნეობრივი აღზრდის ამოცანას. სწავლების პროცესში აღზრდის განხორციელება, იაკობის აზრით, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაეფუძნება სწავლება „გამაცხოველებელ ნიადაგზე“, რომელსაც ეროვნული ფაქტორები შეადგენენ: „ენა, მწერლობა, ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია, ყოფაცხოვრება იმ ერისა,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

რომელთაგან გამოდიოდა მოწაფეები და რომელსაც უნდა დაუბრუნდეს სწავლების დასრულების შემდეგ „ღვაწლიანი ცხოვრებისათვის,“ „ნაყოფიერი არსებობისათვის.“

იაკობმა მაღალხეობრივ, მამულიშვილური, გრძნობებით აღჭურვილი „ახალი ტიპის ქართველთა“ აღზრდის პროგრამაში საყურადღებოდ მიიჩნია აზრი შრომითი აღზრდის შესახებ. შრომისმოყვარეობას იგი თვლიდა ზნეობრივი სრულყოფის ერთ-ერთ ნიშნად, ხოლო ფიზიკურ შრომას აღიარებდა გონებრივი და ფიზიკური განათლებულობის საშუალებას. ამიტომ იაკობი ურჩევდა მშობლებს ჩაებათ ბავშვები საოჯახო შრომაში გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს. ამ საქმიანობას, იაკობის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ფიზიკური, ისე ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით, რადგან ფიზიკური და გონებრივი შრომის შენაცვლება ადამიანის ყოველმხრივ განვითარების ძირითადი პირობაა.

ამრიგად, ზნეობრივი აღზრდის შინაარსი დიდ პედაგოგს ფართოდ ჰქონდა წარმოდგენილი და გულისხმობდა ისეთ მაღალ მორალურ თვისებებს, როგორცაა ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, სიმართლე, ყაირათიანობა და მომჭირნეობა, ამხანაგობა და მეგობრობა, თავაზიანობა და სიღარბისლე, შრომისმოყვარეობა, ზომიერების გრძნობა და სხვა.

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბება იაკობს წარმოდგენლად მიაჩნია ფიზიკური აღზრდის გარეშე, რამეთუ ფიზიკური კულტურა, ისევე როგორც საერთოდ კულტურა, საზოგადოების შემოქმედებითი საქმიანობის პროდუქტია. როგორც იაკობი აღნიშნავდა, „ფიზიკური აღზრდის მიზანია აღზარდოს ფიზიკურად სრულყოფილი, ჰარმონიულად განვითარებული მოქალაქე, რომელიც მზად იქნება შემოქმედებითი შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის“¹. „ფიზიკურ აღზრდას გამაჯანსაღებელი მნიშვნელობაც აქვს“ – აცხადებს იაკობი. ფიზიკური თვისებების განვითარების საფუძველზე წყდება სხეულებრივი აგებულების ფორმების სრულყოფის განსაზღვრული ამოცანებიც. სხეულის სილამაზის ნიშნები, რომელიც ადამიანის ნორმალური განვითარების ერთ-ერთი შედეგია, გარეგნულად ადასტურებს მის ცხოველმყოფელ ძალებს და ესთეტიკურ ღირებულებას შეადგენს.

იაკობ გოგებაშვილი ადამიანის ჰარმონიულ განვითარებაში მნიშვნელოვან ადგილს აკუთვნებს ესთეტიკურ აღზრდას, რამეთუ „ყოველმხრივი“ და „ჰარმონიული“ უთუოდ გულისხმობს ესთეტიკური ელემენტების არსებობას. იაკობი მიიჩნევს, რომ ხელოვნებას უდიდესი ფუნქციის შესრულება შეუძლია ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

იგი ფიქრობდა, რომ ესთეტიკური აღზრდა არ უნდა დავიყვანოთ, არ უნდა დავავიწროვოთ ხელოვნების სფეროდე, აქვე უნდა გვახსოვდეს, ესთეტიკური აღზრდის მთავარი ფაქტორია ბუნება, მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მისი აზრით „ესთეტიკური აღზრდა უნდა გავიგოთ, როგორც ჰარმონიულად სრულყოფილი, ესთეტიკური პიროვნების აღზრდა, რომელსაც გამომუშავებული აქვს მშვენიერების აღქმა-შეფასების უნარზე დაფუძნებული ემოციურ-ესთეტიკური მიმართება. სინამდვილის გამოვლინებისადმი გააჩნია მაღალგანვითარებული ესთეტიკური გრძნობა-გემოვნება, ინტერესები და „სილამაზის კანონიერების მიხედვით“ გარემოს ორგანოების შინაგანი მოთხოვნილება და მისი შესატყვისი უნარ- ჩვევები.“

მას მიაჩნია, რომ სკოლის პირობებში მოზარდის ესთეტიკური განათლება-განვითარების პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ხელოვნებასთან. ამასთან დამოკიდებულებაში გაჩნდა ტერმინები “მხატვრული განათლება“, „მხატვრული განვითარება“, ამიტომაცაა, რომ იაკობის ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორც სიტყვის ხელოვნების ნიმუში, თავისი მრავალფეროვანი და მრავალმხრივი შესაძლებლობებით დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მოზარდებზე. უვითარებს მას ესთეტიკური აღქმის, შეფასებისა და მსჯელობის უნარს.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ერთერთ ქმედით საშუალებას წარმოადგენს მუსიკა. იგი ასახავს რა სინამდვილეს ბგერით სახეებში, „მუსიკა დროითი ხელოვნებაა დაამდენად მთელი იმ ხნის მანძილზე, როდესაც მას უსმენ ადამიანის ემოციური სამყარო იტვირთება, რაც დიდ გავლენას ახდენს მთელს მის ემოციურ-ესთეტიკურ სამყაროზე.“ - ამბობს იაკობი.

როგორც იაკობი აღნიშნავს, „მოსწავლეთა მუსიკალურ-ესთეტიკურ აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას კლასიკურ მუსიკალურ მემკვიდრეობასთან ერთად, წარმოადგენს ეროვნული სიმღერა. დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ საყმაწვილო სიმღერას. იგი უვითარებს ბავშვს სმენას, აჩვევს ჰარმონიას, ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზეს, ერთი სიტყვით, აკეთილშობილებს მის ბუნებას!“ „მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება ერი, რომელიც ამხელა კულტურულ მემკვიდრეობას ფლობდეს. ქართული მრავალხმიანი სიმღერა, საერო სიმღერები და საგალობლები შეიცავს მოზარდ თაობაზე ემოციური ზემოქმედების ამოუწურავ შესაძლებლობებს“³ - აცხადებს იაკობ გოგებაშვილი.

ყოველივე ამას, იაკობის აზრით, თან უნდა ერთოდეს სახვით ხელოვნებასთან ზიარების პროცესი. ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურისა და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ხატვა ძერწვის თუ აპლიკაციის ტიპის სამუშაოების შესრულების

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პროცესი მოზარდის ცნობიერებაზე, მისი აღქმისა და განვითარების აქტივობის შესაძლებლობებზე წარუშლელ კვალს ტოვებს.

როგორც ვხედავთ, აღზრდის მიზნის განსაზღვრაში იაკობ გოგებაშვილი ავითარებს ანტიკური ეპოქაში გახმოვანებულ პიროვნების ჰარმონიული აღზრდის მიზანს, რაც მიუთითებს მის მრავალმხრივ ცოდნასა და განსწავლულობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის საქართველოში, რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის რეჟიმში, აღზრდის მიზნის განსაზღვრა ძალზე შორს იყო მომავალი ქართველის ჰარმონიული განვითარების იდეისაგან და იგი მიმართული იყო იმპერიის ერთგული ქვეშევრდომის ჩამოყალიბებისაკენ. ასეთ ვითარებაში, იაკობის და მის თანამოაზრეთა მკაფიო და რადიკალურად განსხვავებული იდეის გახმოვანება აღზრდის სფეროში, ძალზე მნიშვნელოვანი და საჭირო მოვლენა იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ადამიანების ძალისხმევამ შეუწარმოა ქართველ ხალხს ენა და თვითმყობადობა. დღეს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში სერიოზული საფრთხე ემუქრება სწორედ ქართულ ენას და ქართველი ერის ძირძველ ტრადიციებს, ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია იაკობის მემკვიდრეობის კიდევ ერთხელ, ახალი თვალთ გადახედვა და გაანალიზება, არსებითი მიმართულებების გაზიარება.

იაკობ გოგებაშვილი ცხოვრებაშივე აღიარეს ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელად და მესვეურად. ის იყო და რჩება ქართული პედაგოგიკის ყველაზე დიდ წარმომადგენლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად თბილისი- 1989წ
2. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად თბილისი - 1940წ
3. ვ. ასათიანი, „დიდი იაკობი“ თბილისი- 1991წ
4. ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი“ - 1980წ
5. ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, თბილისი-1910წ
6. ზ. ცუცქერიძის „კლასიკოსი პედაგოგები“ განათლება- 1990წ